პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 17 (3501)

25

1968 წ. იანვარი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

27 იანვარს რიგაში განახლდება კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, რომლის ცხრილში ჯერჯერობით III ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელთა კოლექტივის ლიდერს ლ. ქველიძეს, რომელიც მაღალ ნახტომში უტევს მეტოქის ფარს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

წერილი ჩემპიონატის შესახებ იხ. მე-2 გვ.

ვვ ელის სტარტს

ჰელსინკი, 24 იანვარი. ფინეთის დეპეშათა ბიურომ გამოაცხადა მოცეგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობა. როგორც ცნობილია, შეჯიბრება 27-28 იანვარს გაიმართება ადგილობრივ ოლიმპიურ სტადიონზე.

ჰოლანდია: ს. კაიზერი, კ. ჰეისენი, ა. სხუნტი, ვ. ბურგმაიერი, ე. ვან დერ ბრომი;

იაპონია: ს. საიტო, ჯ. საიტო, კ. იდე (სათადარიგო);

კანადა: დ. მაკკენელი, მ. პერსონსი;

კსდრ: პილ ხვა ხანი, კინ ოკ სუმი, კიმ ბოკ სუნი;

სსრ კავშირი: ლ. ტიტოვა, ლ. სკობლიკოვა, ვ. სტენინა, ლ. კაუნისტე, გ. ნეფიოდოვა;

ნორვეგია: კ. კორინგი, ს. სუნდბიუ, ლ. ბერგი (სათადარიგო);

პოლონეთი: ჰ. პილეიჩიკი, ა. შროსკე;

საფრანგეთი: მ. ივანუინი, მ.-ლ. პერონო;

შვეიცია: უ. ჰედლუნდი, კ. ლინდბლუმი, კ. კარლსონი (სათადარიგო);

გდრ: რ. შლაიერმახერი, რ. ტაუპადელი;

ფინეთი: კ. მუსტონენი, კ.-ლ. კესკივიტიკა, ა. კანტოლა, ტ. ვილკანი (სათადარიგო);

აშშ: მ. მეიერსი, ჯ. ეშუარტი, დ. ჰოლმი, ჟ. ომელენჩუკი (სათადარიგო).

ავსტრიელი უფერტიერა

ვესტერაესი, 23 იანვარი. ავსტრიელმა ფიგურისტმა ... გურაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ე. დანცერმა და მისმა მუდმივმა მეტოქემ ვ. შვარცმა დღეს შვეიცის ამ ქალაქში გახსნილ ევროპულ ჩემპიონატში ლიდერობა იგდეს ხელთ. 3 სავალდებულო ფიგურის შემდეგ დანცერს 514,8 ქულა აქვს, ხოლო შვარცს—512,7.

მომდევნო ადგილებზე არიან: ბ. პერა (საფრანგეთი) — 493,9, ო. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია) — 493,8, ს. ჩეტვერუხინი (სსრ კავშირი) — 462,7, ბ. კრიკი (გფრ) — 462,3, ჯ. ცოლერი (გდრ) — 459,5, ვ. კურენბინი (სსრ კავშირი) — 445,2, მ. ფილცი (ჩეხოსლოვაკია) — 449,3.

ფიგურისტთა ეს ტურნირი რიგით მესამოცეა. ევროპის I ჩემპიონატი 1891 წელს გაიმართა ჰამბურგში. მას შემდეგ კონტინენტის ჩემპიონატთა ორგანიზატორი სხვებზე ხშირად შვეიცარიის სამთო კურორტი დავოსი იყო. აქ პირველობა ათჯერ მოეწყო.

ევროპის უძლიერეს ფიგურისტთა ჩემპიონატს შვეიცია 1912 წლის შემდეგ ახლა პირველად ატარებს. ვესტეროსმა მიიღო 17 სახელმწიფოს 117 სპორტსმენი, მათ რიცხვში — ყველა ახლანდელი ჩემპიონი.

„...როგორც დიდი თეატრის ბალეტი“

ვესტეროსი, 24 იანვარი. „საუცხოო, როგორც დიდი თეატრის ბალეტი“, — ასე დაახასიათა საბჭოთა წყვილის — ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის გამოსვლა შვეიცის ჭრესამ. საკალდებულო პროგრამის შემდეგ ლენინგრადელი ფიგურისტები 103,8 ქულით (ადგილების ჯამი — 10) სათავეში ჩაუდგნენ წყვილთა შეჯიბრებას. გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ აღნიშნავს, რომ ბელოუსოვა და პროტოპოპოვი „ევროპის ჩემპიონთა ტიტულის მეოთხედ მოხვეჭის გზაზე არიან“. დავამატებთ, რომ ამ „გზას“ ისინი დაამთავრებენ დღეს შუადამით (მოსკოვის დროით).

და მაინც, წყვილთა ასპარეზობის მთავარ სენსაციად იქცა ახალგაზრდა მოსკოველების ი. როდნინასა და ა. ულანოვის შესანიშნავი დებიუტი. ეს დუეტი III ადგილზეა — 98,5 ქულა (32,5). II ადგილზე არიან ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები ჰ. შტაინერი და ჰ.-უ. ვალტერი (გდრ) — 99,4 (24,5).

მოსკოველებს მიჰყვება გფრ-ის ორი წყვილი: გ. ჰაუსი — ვ. ჰეფნერი — 97,0 (43) და ევროპის 1967 წლის პირველობის ვერცხლის პრიზიორები მ. გლოკსტუბერი და ვ. დანე — 96,9 (44,5). VI ადგილზე არიან ლენინგრადელები თ. მოსკვინა და ა. მიშინი — 96,6 (49,5).

დაიწყეს სავალდებულო პროგრამა მოცეკვავე წყვილებმაც. აქ პირველი სანი ადგილი მტკიცედ დაიპყრეს ინგლისელებმა: მსოფლიო ჩემპიონებმა დ. ტაულერმა და ბ. ფორდმა (99,0), ი. სადიკმა და მ. კენონმა (96,0), ჟ. სობრიჯმა და ჯ. ლენინმა (93,3). მათ კვალში ჩაუდგნენ საბჭოთა წყვილები: ი. გრიშკოვა — ვ. რიეკინი (91,2) და ლ. პაპოლოვა — ა. გორშკოვი (88,6).

ცეკვაში გამარჯვებულნი 26 იანვარს გამოვლინდებიან, წინა დღით კი ცნობილი გახდება ევროპის ჩემპიონი ვაჟთა შორის. კონტინენტის უძლიერესი ფიგურისტი ქალი გამოვლინდება 27-ში. კვირას გაიმართება საჩვენებელი გამოსვლები.

ფიგურისტთა ტურნირმა მარტა ვესტმანლანდის პროფინციის სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრის მცხოვრებთა დიდი ინტერესი როდი გამოიწვია. სტოკჰოლმის დასავლეთისკენ 120 კილომეტრის დაშორებით მდებარე ვესტეროსში ჩამოვიდნენ ფიგურული ციგურაობის მოტრფიალენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან. შეჯიბრების ბილეთები გასხვამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. ჩემპიონატის პრეს-ცენტრში 200-ზე მეტი შვედი და უცხოელი ჟურნალისტი, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელი აკრედიტებული. შეჯიბრების მონაწილე ყველა 17 ქვეყანა აწარმოებს ტელეგადაცემებს.

... ROGORC DIDI TEATRIS BALETI“

VESTEROSI, 24 IANVARI. „saucxoo, rogorc didi teatris baleti“, — aseT daaxasiaTa sabWoTa wyvilma l. belouusovamac da o. prokofiev-mac gamosvla cvicariis xrestaze. sazaRdebulo programis Semdeg leninglaeli figurisebma 103,8 qulaTi (adgilebis jami — 10) saTavesaSi CaudgnenT wyvilTa Sejibrebas. gazeTi „svenska dagbladeTi“ aRniSnavs, rom belouusova da prokofiev „evropis CempionTa titulis meoTxedi moxvecis gzazeaRnian“. davamaTebT, rom am „gzas“ isini daamTavrebenT dRes SuaRamiT (moskovis dromiT).

da maincadaric, wyvilTa aspareziobis mTavari senseacia iqca axalgazrda moskoveleebis i. rodnina da a. ulanovis Sesaniszniavi debiuti. es duetiaa III adgilze — 98,5 qulaTi (32,5). II adgilze arian evropis CempionTa mxarSemWedeli CempionatSi bronzis prizioris xaiTaxi j. StaineriT da j.-u. valteriT (gdr) — 99,4 (24,5).

moskoveleebs mihyveba gfr-is ori wyvili: g. xausi — v. xefneri — 97,0 (43) da evropis 1967 wlis pirveleobis vercxlis prizioris m. glokstuberi da v. dane — 96,9 (44,5). VI adgilze arian leninglaeli samaxsovrebi t. moskvina da a. miSini — 96,6 (49,5).

daiwyes saxalgazrdo programa moceki wyvilebma. aq pirveli sami adgili mtkicedaa daWerili inglisel wyvilebma: msoflio CempionebmaC d. TaulerTan da b. fordTan (99,0), i. sadikTan da m. kenonTan (96,0), j. sobrijTan da j. lenin (93,3). maTi kvalebis Sedegebi: i. grigoriev — v. rikinTan (91,2) da l. papolovaTan — a. gorSkovi (88,6).

cekvaSi gamarjvebulni 26 iangaris gamovlindebian, wina dRe ki cnobili gaxdebaa evropis CempionTa CempioniT vaJTa Sorisac. kontinentis uZlieresi figurisTi qali gamovlindeba 27-Si. kvirasac gaimarTeba saCvenebeli gamosvlebi.

figurisTa turniri martaa vestmanlandis provinciis samrewveo da administraciuli centris mcxovrebTa didi interesi rodi gamoiwvia. stokholmis dasavlaTisken 120 kilometris daSorebiT mdebare vesteros Sida CamoviRnen figurulis ciguraobis mocarfialeni qveynis sxvadasxva qalaqebidan da uceqoeTidan. SeJibrebis biletebi gasxvamdeac didi xniT adre gayidaT. CempionaTis prespcentrSi 200-ze metia Sveduri da uceqoeli Jurnalisti, radiosa da televizias warmomadgenelebi akredidebulni. SeJibrebis monawile yvela 17 qveyana awarmoebs televizias gadacemebs.

ეს ... ...

... ...



◆ ბემმერვეიკი, 24 იანვარი. აქ მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში ლიდერი — ლენინგრადელი დიდოსტატი კორჩნოი 4 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. XI ტურში მან დაამარცხა ჰოლანდიელი ვან გეტი და ახლა 10,5 ქულა აქვს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალს (რიგა), რუმინელ გეორგიუსა და ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ პორტს 6,5-6,5 ქულა აქვთ და დარჩენილ ოთხ ტურში უკეთეს შემთხვევაში შეუძლიათ მხოლოდ დაეწიონ კორჩნოის. ქალთა ტურნირში 7 ტურის შემდეგ 5-5 ქულით კვლავ წინ არიან ჯოზლოვსკაია (სსრ კავშირი) და ვრეკენი (ჰოლანდია).

◆ ბრემენი, 24 იანვარი. დახურულ კორტებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში მოსკოველმა ჩოგბურთელმა ვიაჩესლავ ეგოროვმა სძლია დასავლეთგერმანელ ჰ. როდეს — 7:5, 6:3. სენსაციით დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონის გ. ბაკშეევას პირველი გამოსვლა: მან წააგო ნაკლებად ცნობილ ინგლისელ ჩოგბურთელთან ფ. მაკ-ლენონთან — 2:6, 9:11.

◆ სტოკჰოლმი, 24 იანვარი. შვეიცის ჰოკეის ასოციაციამ გადაწყვიტა გრენობლში წასასვლელად გამზადებული „ტრე კრუნერის“ შემადგენლობაში ნაცვლად მეორე მეკარე კ. აბრაჰამსონისა, რომელსაც მუხლის სასწრაფო ოპერაცია დახჭირდა, შეიყვანოს ჰ. დალეფი. ეს ცნობა ეველმა პოლისმენმა დალეფმა რადიოთი შეიტყო, როცა თავისი საპატრულო მანქანის საჭეს ეჯდა. ეს მორიგეობა მისი მთელი სამსახურის მანძილზე ნაღდად ყველაზე სასიამოვნო იყო, თანაც დაბადების დღეს დაემთხვა: დალეფს იმ დღეს 27 წელი შეუსრულდა.

◆ ესტერსუნდი, 24 იანვარი. ადგილობრივი საციგურაო „ფიურვალის“ ბილიკზე ახალი ეროვნული რეკორდით აღინიშნა შვეციის ოლიმპიელთა სტარტები. რეკორდის აეტორია ჰ. ჰედლუნდი, რომელმაც 500 მ 40,8 წამში გაირბინა (მსოფლიოს წლევანდელი სეზონის მესამე შედეგია ბარის საციგურაოებისთვის). ი. ნილსონმა გაიმარჯვა 5000-მეტრიან დისტანციაზე — 7.54,2.

მხოლოდ თბილისელი ნორჩებით...

„მხიარული დელფინის“ საკავშირო ეიერიმ ამას წინათ შეაჯამა მარშანდელი ტურნირის IV ეტაპისა და ასპარეზობის საერთო (ოთხივე ეტაპის) შედეგები როგორც ცნობილია, მოცურავეთა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების IV ეტაპის პროგრამაში შედიოდა: ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ბურთის ტყორცნა, რბენა (გარდა უმცროსი ასაკისა) და 50 მეტრზე ცურვა. შემდეგ ჯამდებოდა ყველა სახეობის მაჩვენებლები.

ჩვენი რესპუბლიკიდან გოგონათა ტურნირში საპრიზო ადგილზე ვერავინ გავიდა. სამაგიეროდ, ჭაბუკებმა ისახელეს თავი — ოთხივე ასაკის სპორტსმენებისთვის გათვალისწინებული 12 საპრიზო ადგილიდან ოთხი მოიპოვეს. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს უმცროსი ასაკის მოცურავეებმა. 9-10 წლის ბიჭებში ყველას აჯობა თბილისის „შრომითი რეზერვების“ ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელმა გ. პრისიაჟნიუკმა (მწვრთნელი თ. იორდანიშვილი), რომელიც 230 სანტიმეტრზე გადახტა, ბურთი 7,60 მეტრზე ტყორცნა, 50 მ ბრასით 41,2 წამში გაცურა და საბოლოოდ 1036 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა თბილისელი თ. ბახუტაშვილი (მწვრთნელი მ. ამილახვარი). დინამოელმა ბიუნამ ლიდერს ბურთის ტყორცნაში 25 სანტიმეტრით მოუგო, მაგრამ ხტომაში 20 სანტიმეტრით, ცურვაში კი 0,5 წამით ჩამორჩა და საბოლოოდ 981 ქულა მოაგროვა.

თ. იორდანიშვილის მეორე აღსაზრდელმა ი. საპრიგინმა 11-12 წლის მოცურავეთა შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა. მას 1760 ქულა აქვს (ხტომა — 245 სმ, ბურთის ტყორცნა — 9,76 მ, 300 მეტრზე რბენა — 48,5 წამი, 50 მ თავისუფალი სტილით ცურვა — 29,7). თანატოლებში II ადგილზე გავიდა 16 წლის მ. ქათამაძეც (განათლების განყოფილება), რომელსაც ვ. პოტაპოვი ავარჯიშებს. მისი მაჩვენებლები შესაბამისად ასეთია: 2152 ქულა; 280 სმ; 10 მ; 400 მ რბენა — 2.12,0; ბრასით ცურვა — 33,5.

ხულ ამ ეტაპზე საპრიზო ადგილები 9 ქალაქის გოგონებმა და ბიჭებმა გაიყვეს (გამარჯვებისთვის 52 ქალაქის 20 ათასი ნორჩი იბრძოდა). პირველობა მოსკოველებს ხვდათ, II ადგილი — თბილისელებს.

რაც შეეხება ოთხივე ეტაპის ჯამს, აქ რესპუბლიკებს შორის უძლიერესის სახელი რსფსრ-ს მოცურავეებმა მოიპოვეს — 295,5 ქულა. II ადგილზე გავიდნენ უკრაინის (96,5), III — საქართველოს სპორტსმენები — 51.

ქალაქებს შორის 3 საპრიზო ადგილი ასე განაწილდა: 1. მოსკოვი — 146,5, 2. ლენინგრადი — 71,5, 3. თბილისი — 51.

როგორც ხედავთ, საქართველოსა და თბილისის წარმომადგენლებს ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ. ეს აშკარად ადასტურებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვებთან მუშაობის საქმე მხოლოდ თბილისში დგას სათანადო დონეზე.

გადავხედოთ საბოლოო შედეგებს სპორტსაზოგადოებათა მიხედვით. საქართველოს სპორტსმენების მოპოვებული 51 ქულიდან 31 ეკუთვნით თბილისის დინამოელებს, რომლებიც საბოლოოდ IV ადგილზე არიან. ამ კოლექტივს აჯობა მოსკოვის „დინამომ“ (48,5 ქულა), ვოლუსკის „ტრუდმა“ (37,5) და ცსკა-მ (34). „შრომითი რეზერვების“ ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა საერთო ყულაბაში 18 ქულა შეიტანეს.

„მხიარული დელფინის“ წლევანდელი შეჯიბრებაც ოთხ ეტაპადაა დაყოფილი: I ეტაპი დიდი ხანია დაიწყო და შედეგებს 29 იანვარს შეაჯამებს, II ეტაპი მოეწყობა 15-28 თებერვალს, III — 3-17 მაისს, ხოლო IV — 1-25 ნოემბერს. ამას გარდა, ნორჩები წლეულს პირველ საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავენ: მაისში მინსკში იასპარეზებენ სსრ კავშირისა და იტალიის გუნდები, ივლისში კი გდრ-ში მოეწყობა „ოლიმპიური იმედის“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება.



სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ზოტოვა ასპარეზობისას; ქვევით — თ. ლეკვეიშვილი თბილისის ზამთრის აუზში ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო ო. გელაშვილისა.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

რიგა ეხამეგს I წრეს

ზეგ რიგაში იწყება კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის დასკვნითი ტურის მატჩები. გუნდები, რომლებმაც ტურნირის პირველი ეტაპი ლენინგრადში განვლეს, შეხვდებიან იმ კოლექტივებს, მოსკოვის მახლობელ ქალაქ ელექტროსტალში რომ ასპარეზობდნენ. ასე რომ, შეჯიბრების ყოველ მონაწილეს ლატვიის დედაქალაქში ჩასატარებელი ექვსი 6 შეხვედრა.

რა შეიცვალება ითქვას უკვე გამართულ მატჩებზე? ჩემპიონატის მთავარი სეხსაცია გახლავთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივის — ლენინგრადის ასკ-ს წარუმატებლობა. არმიელებმა 5 შეხვედრიდან ყველა წააგეს და სატურნირო ცხრილში აუტსაიდერის ადგილი დიმყვიდრეს.

მეორე მოულოდნელობა მოსკოვის ოლქის „სპარტაკის“ უჩვეულოდ კარგი სტარტია. თუმცა ეს უკვე მოულოდნელობა აღარცაა, ვინაიდან სპარტაკელებმა ჯერ კიდევ შარშან „აღიმაღლეს ხმა“. აი, სწორედ მაშინ გახდა ცხადი, რომ ნიჭიერი კოლექტივი სულ მალე ჩაერეოდა ამა ქვეყნის ძლიერთა ბრძოლაში. „სპარტაკის“ ერთადერთი ნაკლი შარშან ის იყო, რომ მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელი არ ჰყავდა. წლეულს ეს ნაკლი გამოსწორდა: მოსკოვის ოლქის კალათბურთელთა იერიშებს სათავეში ჩაუდგა სპორტსმენი, რომლის სიმაღლე ვაჟებსაც კი შეშურდებათ. მისი გვარია ნ. ბილმაიერი, სიმაღლე — 193 სმ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ჩემპიონატი წარმატებით დაიწყო. ჩვენებმა 4 შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ერთხელ (მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან“) იწვნიეს მარცხის სიმწარე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. წინაა საპასუხისმგებლო ბრძოლა ძლიერ მეტოქეებთან, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს ლიდერთა პრეტენზიების რეალობას.

მოგვყავს ჩვენი გუნდის შეხვედრათა კალენდარი და გათამაშების ცხრილი პირველი ეტაპის მატჩების შემდეგ.

27 იანვარი. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — სპი (თბილისი); **28 იანვარი.** სპი — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი); **29 იანვარი.** „დინამო“ (კიევი) — სპი; **30 იანვარი** — დასვენების დღე; **31 იანვარი.** სპი — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი); **1 თებერვალი.** ტტტ (რიგა) — სპი; **2 თებერვალი.** სპი — „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ტტტ (რიგა)	5	5	0	331—235	5
„სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი)	5	5	0	326—277	5
სპი (თბილისი)	5	4	1	308—285	4
„კიბირაშტისი“ (ვილნიუსი)	5	3	2	288—261	3
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	5	3	2	281—270	3
„ტექსტილმაში“ (ტაშკენტი)	5	2	3	223—257	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	5	2	3	265—290	2
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	5	2	3	262—297	2
„დინამო“ (ნოვოსიბირსკი)	5	2	3	288—336	2
„დინამო“ (მოსკოვი)	5	1	4	298—306	1
„დინამო“ (კიევი)	5	1	4	277—290	1
ასკ (ლენინგრადი)	5	0	5	257—300	0

მწვავე გრძოლაში

რიგა, 24 იანვარი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ვეფი-ი და თბილისის „დინამო“. ბრძოლა შეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ლატვიელებმა წარმატებას მიაღწიეს მინიმალური უპირატესობით — 75:74.

ლენინგრადი, 24 იანვარი. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩემპიონატში ჩაება თბილისის „ბურევესტნიკი“. მისი მეტოქე ამჯერად ადგილობრივი „სპარტაკი“ იყო. თბილისელებმა ძლიერ მეტოქეს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 59:63.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	16	12	4	1126—1072	12
„დინამო“ (თბილისი)	15	10	5	1083—1000	10
ვეფ (რიგა)	19	10	9	1323—1352	10
ცსკა	14	9	5	898—846	9
„სტროიტელი“ (კიევი)	14	9	5	926—903	9
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	15	9	6	1059—1026	9
„ველგირისი“ (კაუნასი)	14	8	6	1027—968	8
„კალევი“ (ტარტუ)	14	7	7	893—901	7
ასკ (რიგა)	16	6	10	1141—1165	6
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	11	5	6	689—685	5
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	14	2	12	1022—1162	2
„ბურევესტნიკი“ (ბაქო)	14	1	13	949—1126	1

ჩვენი კორესპონდენტი

ახალი დარბაზი სკოლაში

ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა ახალი სპორტდარბაზი. ახლა აქ ტარდება ფიზიკურზრდის გაკვეთილები და სექციური მეცადინეობა.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

ჩვენი კორესპონდენტი

✦ ადიგენი

შაშში რაიონის მოსწავლეთა პირველობაში მონაწილეობდა თითქმის ყველა საშუალო სკოლის წარმომადგენელი. გოგონებში I ადგილი დაიკავა ე. სხირტლაძემ, ბიჭებში — ზ. აფრიამაშვილმა (ორივე — სოფ. ბოლაჯაურის საშუალო სკოლა).

ნ. მამულაშვილი,
ადიგენის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

სტუმრად ჟურნალისტებთან

აჭარის დედაქალაქში ათ დღეს იყვნენ სტუმრად გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ სპორტული მიმომხილველი ვ. ვინოკუროვი და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის მექარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კავაზაშვილი.

ადგილობრივმა ჟურნალისტებმა შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს. კავაზაშვილმა დამსწრეთ მოუთხრო სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მოგზაურობაზე ინგლისში, საფრანგეთში, სამხრეთ ამერიკაში, მოსკოვის ტორპედოელთა თამაშზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე და სხვ.

სტუმრებმა უპასუხეს ჟურნალისტების ბევრ შეკითხვას.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

საიმედო ცვლა

თბილისში დამთავრდა საქართველოს იუნიორ მოფარიკავეთა პირად-გუნდური პირველობა. ეს იყო გენერალური რეპეტიცია სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ, რომელიც სულ მალე გაიმართება რიგაში. თავდაპირველად 112 მოფარიკავის მონაწილეობა იყო დაგეგმილი, მაგრამ, ვინაიდან შეჯიბრება ერთგვარად შერჩევითი ხასიათისა გახლდათ, დამატებით კიდევ 40 სპორტსმენი დაუშვეს. აღსანიშნავია, რომ პირველობაში თითქმის ყველა ქალაქის და რაიონის წარმომადგენლებმა იასპარეზეს.

პირველად ესპადრონისტთა შეხვედრები გაიმართა. ფარიკაობის ეს სახეობა ძალიან განვითარებულია ჩვენში. ქართველი ესპადრონისტების — ნ. ასათიანის, მ. სახვაძის, გ. ლორთქიფანიძისა და სხვათა სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც. ამ კარგ ტრადიციას არც ახალგაზრდობა ღალატობს. მათ შორის ბევრია ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი. ტექნიკითა და. ბრძოლის ღამაზი ყაიდით ისინი დიდად არც ჩამოუვარდებიან თავიანთ წინამორბედებს. ქუთაისელი ა. გაგულაშვილი და თბილისელი დ. შარაშენიძე, მაგალითად, სსრ კავშირის ნაკრების წევრები არიან. ანზორმა ოუნიორთა ახლახან დამთავრებულ საკავშირო პირველობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, დიმიტრი კი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა.

შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ახალგაზრდობის მაღალი ოსტატობა. შედარებით გამოცდილ შარაშენიძესა და გაგულაშვილს ტოლს არ უდებდნენ პირველობის სხვა მონაწილეებიც. და აი, შარაშენიძემ ფინალში ბოლო, IX ადგილი დაიკავა, ხოლო გაგულაშვილი ძლივს გავიდა II საპრიზო ადგილზე. ჩემპიონი გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი თ. გაგოშიძე. იგი კარგი ტექნიკითა და გააზრებული ბრძოლით გამოირჩეოდა. გაგოშიძეს უჩვეულოდ აქვს განვითარებული მანძილის გრძნობა, ამასთან, თუ შეიძლება ითქვას, მეტად ეკონომიურად იბრძვის საფარიკაო ბილიკზე. იგი ყოველ იერიშს წინასწარ ამზადებს და მეტოქეს მოულოდნელად ესხმის თავს.

შედარებით სუსტი იყო III ადგილზე გასული დ. მეშველიანი (თბილისი). ამ უკანასკნელს ყველა საიმისო მონაცემი აქვს, რომ მოწინავეთა რიგებში ჩადგეს, მაგრამ, როგორც ჩანს, საკლებად ვარჯიშობს.

რაპირისტ გოგონათა შეჯიბრებაში აშკარა იყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის, სპორტის ოსტატ ნ. ჩახვაშვილის უპირატესობა. 20 ბრძოლიდან მან მხოლოდ ერთი წააგო, რაც ძალიან იშვიათია ფარიკაობაში.

II-III ადგილები თბილისელთა — დ. ბუხრაშვილს, ნ. ქაცანაშვილსა და დ. ჩიქოვანს შორის ხელმეორე ბრძოლების შემდეგ განაწილდა. იმარჯვა ბუხრაშვილმა, რომელმაც მოუგო ჯერ ჩიქოვანს (4:3), შემდეგ ქაცანაშვილს (4:2) და II ადგილი გაინაღდა. მესამე იყო ჩიქოვანი.

დაშნით მოფარიკავეთა შორის ფავორიტად სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი გ. ზურაბიშვილი ითვლებოდა, მაგრამ ისიც IX ადგილზე აღმოჩნდა. I ადგილი დაიკავა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. კოიძემ, რომელმაც ფინალში ყველა მეტოქეს აძლია.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა III ადგილზე გასულმა ი. სიხარულიძემ (სპი). ეს მოფარიკავე ვრცარად ძლიერია როგორც იერიშის, ისე დაცვის დროს (ხსვანთა შორის, იგი ცაცაია, ფარიკაობაში კი ამას ერთგვარი უპირატესობა აქვს).

II ადგილზე გავიდა თბილისელი დ. ხიდეშელი.

რაპირისტ ვაჟებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ი. ბარტყულაშვილი, 2. ა. აფციაური, 3. დ. გოგნიაშვილი (ყველა — თბილისი).

გუნდური ჩათვლა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. რუსთავი.

სპორტსმენის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მწვრთნელსაც მიუძღვის. სწორედ ამიტომ უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თ. ტროფიმოვა. ბარტყულაშვილი, აფციაური, გოგნიაშვილი, ჩიქოვანი და ქაცანაშვილი მისი აღზრდილები არიან.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ვიქტორ ბარკალაია — სკოლა

სსრ კავშირისა და ლიტვის დამსახურებული მწვრთნელის ვიქტორ ბარკალაიას აღზრდილები ყოველ წელიწადს, საბჭოთა კონსტიტუციის დღეს ტრადიციულ სალამოზე იყრიან თავს. მაგიდას უახლოესი ისინი, ვისი სახელიც ამ ხუთმეტი წლის წინათ აშშვენებდა გაზეთებს, და ახალგაზრდებიც, პირველად რომ მოიპოვეს ამ მეგობრულ ოჯახში შესვლის უფლება. აქ ლაპარაკია თვითეულის ყოველდღიურ წარმატებაზე: ერთმა მრავალწლიანი სამეცნიერო შრომა დაამთავრა და წარმატებით დაიცვა დისერტაცია, მეორემ დიპლომი მიიღო, შესამემ წიგნი დაწერა. ამ მაგიდასთან სიტყვა ეძლევათ ყველაზე ახალგაზრდებსაც და საპატიო სტუმრებსაც — მეცნიერებათა დოქტორებს, დოცენტებს. ყველა, ვინც მწვრთნელად მუშაობის ოცი წლის მანძილზე აღუზრდია ვიქტორ ბარკალაიას, დღესაც დიდი მეგობარია აღზრდილისა და მისი ახლანდელი მოწაფეებისა. აქ ყველა შინაურია. და პირველი სადღეგრძელო ჩვეულებრივ აი, ასეთია:

— იმას გაუმარჯოს, რაც დღეს ყველა აქ მყოფს აერთიანებს, — ჩვენს სკოლას გაუმარჯოს!

დიახ, სკოლას გაუმარჯოს! ვიქტორ ბარკალაიას მძღოლსნურ სკოლას, შორეული, მხიანი საქართველოს შვილის სკოლას, რომლისთვისაც ლიტვა მეორე სამშობლო გახდა, რომლის სახელიც ლიტვური სპორტის განვითარებისა და დიდების ისტორიაშია ჩაწერილი. გაუმარჯოს სკოლას, რომელიც არსებობის აგერ შეოცე წელს ითვლის.

ვიქტორ ბარკალაია თბილისელია. აქ, მტკვრის ნაპირზე ჩაიარა მისმა ბავშვობამ. აქ იგი პირველად და სამარადისოდ დაუმეგობრდა სპორტს, აქ დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი, გატაცებული იყო ძალოსნობით, ჭიდაობით, ტანვარჯიშით, მძღოლსნობით, სპორტს ახმარდა მთელ თავის მეზნებარე სამხრეთულ ტემპერამენტს და ჯანმაგარი სხეულის ძალას.

მაგრამ დადგა 1941 წელი. ნოემბრმა სპორტსმენმა, რომელმაც უკვე მწვრთნელობაშიც სცადა ძალა, მეომრის ფარაჯა ჩაიცვა. ვიქტორი დასავლეთში არ გაუგზავნიათ, ირანში წასვლა დააკლეს. იქ არ სკდებოდა ყუმბარები, მაგრამ საბჭოთა ეპიდემიოლოგები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ მეორე საშინელ საფრთხეს, „შავ სიკვდილს" — ჭიას, რომლის გავრცელებასაც მტერი ცდილობდა შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. გამარჯვების შემდეგ სამეფიცინო სამსახურის დემობილიზებული მაიორი ვ. ბარკალაია მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა. რომ კვლავ სპორტისთვის მიეძღვნა თავი, თამამად მიგტანა იერიში ადამიანის შესაძლებლობათა დაკანონებულ ზღვარზე.

მაგრამ ვიქტორ ბარკალაიას ოცნებებს ახდენა არ ეწერა. დიდმა პირადმა მწუხარებამ იგი დააშორა სამშობლოს, რომელიც ყოველ წუთს საშინელი სიცხადით აგონებდა უბედურებას.

მაშ ასე: 1947 წელს ლიტვის საუკეთესო მძღოლთანთა სიაში ვ. ბარკალაიას გვარიც გამოჩნდა. საზოგადოება „სპარტაკის" ახალმა სპორტულმა ექიმმა მალე დაიპყრო რესპუბლიკის რეკორდები ურონა და ბადროს ტყორცნაში. მას, როგორც უფროსსა და უფრო გამოცდილს, დაავალეს ხელმძღვანელობა გაეწია საუკეთესო მტყორცნელების, ლიტვის მრავალგზის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების, ამჟამად ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორ ვ. მიკენასის, დღევანდელი სპორტული მუშაკების დ. ვიტარტაიტეს, ლ. ბალჩიუნაიტეს და სხვათა წვრთნისთვის. ეს იყო ვიქტორ ბარკალაიას პირველი ნაბიჯები მწვრთნელობის სარბიელზე. მაგრამ იგი ამაზე, უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული თვისებების, წვრთნის ერთხელვე დადგენილი მეთოდის მეშვეობით სახელგანთქმულ სპორტსმენებთან მუშაობაზე როდი ოცნებობდა. მას სურდა ხელთ ჰქონოდა ნედლი მასალა, სანთელი, საიდანაც თავისი სურვილისა და ნირის მიხედვით „გამოძერწავდა" სპორტსმენს. 1949 წელს მან დაიწყო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის წვრთნა და სწორედ მაშინ დაედო დასაბამი მის სახელგანთქმულ სკოლას...

ხანდახან მიკვირს: რატომაა, რომ ხშირად ვერ ვაფასებთ იმას, რაც ჩვენია, რატომ ვერ ვამჩნევთ რაღაც დიდის სიახლოვეს? თხუთმეტი წლის მანძილზე გვესმოდა ერთი და იგივე: „სტამპფლის სკოლა", „შვედური სკოლა", „ჩერტის სკოლა", „ლიდიარდის სკოლა"... ეს დასახელებები ერთიმეორეზე იცვლებოდა იმისდა მიხედვით, რომელი „მნათობი" ამობრწყინდებოდა თუ ჩაესვენებოდა მსოფლიოს მძღოლსნურ ცისკიდურზე. მწვრთნელები საგონებელს ეძლევოდნენ. ერთი მეთოდიკის შესწავლას ვერ მოასწრებდნენ და იგი უკვე მეორეთი იცვლებოდა.

მაგრამ ვიქტორ ბარკალაია მშვიდად იყო. ხანდახან იგი მეცადინეობაზე მოიტანდა რომელიმე ჟურნალს, სადაც მორიგი „ხენსაცია" იყო დაბეჭდილი და ღიმილით იტყოდა:

— ესეც იგი, ჩვენ სწორად გვიმუშავია...

განსდა სიტყვა „ფარტლეკი" — რბენა-თამაში. მაგრამ ჩვენ ამ ფარტლეკს ჯერ კიდევ 1950 წელს ვთამაშობდით ვიბგისის პარკში... სახელგანთქმული ილიოტი ფხვიერ ქვიშაზე დარბის? ვინ იცის, ჩვენი მორბენლების რამდენ თაობას უტაკენია ვილნიუსის ახალგაზრდობის ბაღის მოპირდაპირე მთის ფერდობები. ხნელს აღმართებზე წვრთნა უყვარს? ვინ მოსთვლის, რამდენი ათასი კილომეტრი გაურბენიათ ბარკალაიას მოწაფეებს გედიმინასის მთის ხეივნებში. ციხის ზღურბლამდე მანძილიც კი ზუსტადაა გაზომილი — 537 მეტრი. რაიანი ყოველ საწვრთნელ მეცადინეობაზე 30 კილომეტრს ფარავს? გაიხსენეთ ჩვენი ზამთრის კროსები ვირშულიშკესიდან და ბუივიდიშკესიდან საათნახევრის, ორი საათის სავალზე. სწორედ ამის გამო აუხირდნენ ვიქტორს მძღოსნობის „მცოდნენი": ვითომდა, ხალხს „ქანცს აცლისო"...

აი, ასეა, მეგობრებო. ყველა ეს ხაზღვარგარეთული „საიდუმლო" ვიქტორ ბარკალაიამ გონებით, გამოცდილებითა და მწვრთნელის განსაკუთრებული ალღოთი ამოიცნო. ახლა, როცა მისი მეთოდი მრავალთათვის გახდა ხელმისაწვდომი, როცა ყველა მისეულ ხერხს სხვა მწვრთნელები იყენებენ, სწორად ავიწყდებათ: კი მაგრამ, ვინ იყო პირველი, ვინ გაარღვია ურწმუნობის კედელი, ვინ იტანდა „მეცნიერულ კრიტიკას" და შეურაცხყოფასაც კი? ხომ იყვნენ სპორტის ისეთი თეორეტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, ლიტვაში რბენა პოპულარული არ არის და სერიოზული წარმატების მოპოვება ამაო ოცნებაა? ბარკალაიამ პრაქტიკით გაიარწყალა ამგვარი შეხედულება.

1957 წელს, III საერთაშორისო ახალგაზრდული თამაშების დღეებში მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ორი იმ დროისთვის ყველაზე მოდური სკოლის წარმომადგენლები, ოფიციალური მოფლიო რეკორდსმენი 1.500 მეტრზე რბენაში უნგრელი იშტვან როჟე

„ოქროს“ ბურთი ჩემპიონთა ავტოგრაფებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელო“ ინტერვიუ

ახლახან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან თბილისს დაბრუნდნენ სსრ კავშირის სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრების წევრები იმედო ფხაკაძე და ალექსანდრე ხუციშვილი. როგორც ცნობილია, საბჭოთა ნაკრებმა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესის სახელი მოიპოვა. საბჭოთა ხელბურთის ისტორიაში ეს უველაზე დიდი მიღწევაა და მით უფრო სახიხარულია, რომ ამ წარმატებაში წვლილი ჩვენმა თანამემამულეებმაც შეიტანეს. რედაქციას ესტუმრა ი. ფხაკაძე, რომელსაც ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვა მისცა.

● მოელოდით თუ არა ასეთ წარმატებას გფრ-ში გამგზავრების წინ?

— წარმატებაზე ფიქრის საფუძველი ძალიან პატარა გვქონდა. საქმე ის არის, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა უხეიროდ დაამთავრა. გუნდი სულ არ იყო შეთამაშებული, ხელბურთელებს არ ჰქონდათ შემუშავებული ნამდვილი, ბრძოლისუნარიანი ტაქტიკა, იყო ბევრი სხვა ხარვეზიც. მაგრამ ნაკრები მაღალი კლასის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული და თუ ხელბურთელები დარჩენილ დროს გეგმაზომიერად გამოიყენებდნენ, შეიძლებოდა საპრიზო ადგილის იმედიც გვქონდა. მართლაც, მოსკოვში წვრთნის პერიოდში ბევრი რამ გამოსწორდა.

● როდის დარწმუნდით ამაში?

— მაშინ, როცა დაავლეთ ბერლინის თასის გათამაშებაში 11 ადგილი დავიკავეთ. ეს ტურნირი ჩვენთვის გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. სწორედ იქ ვიგრძენით, რომ სათანადო საბრძოლო ფორმას ვიძენდით.

● მსოფლიო ჩემპიონატში სულ რამდენი მატჩი ითამაშეთ?

— გუნდის 6 მატჩიდან მე მხოლოდ ერთი (დანიასთან) გავაცდინე. მოგებულებთ შედეგებს: ქვეჯგუფში 3 შეხვედრა გვქონდა. აქედან ორი მოვიგეთ — ჰოლანდიასთან (28:6) და ფინეთთან (30:10), ერთიც ფრედ დავამთავრეთ — ჩეხოსლოვაკიასთან (12:12). ჩეხოსლოვაკიელებმაც 5 ქულა დააგროვეს, მაგრამ 1 ადგილზე ჩვენ მოვხვდით, ვინაიდან ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოვაჩინდა. დანარჩენი 3 მატჩიც მოვიგეთ: მეოთხედფინალური — დანიასთან (17:6), ნახევარფინალური — შვეიცასთან (25:19) და ფინალური — რუმინეთთან (17:16).

● 6 მეტოქიდან ვინ როგორი ძალისა იყო?

— ჰოლანდიელებთან, ფინელებთან და დანიელებთან თამაში არ გაგვჭირვებია. ჩეხოსლოვაკიის გუნდი ძალიან ძლიერია. ისიც უნდა შევნიშნო, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეთაგან ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში მხოლოდ 2 კაცი თამაშობდა, დანარჩენებს სრულიად არ ვიცნობდით. ერთ ხანს შვედებთან თამაშიც გაგვჭირდა. იყო მომენტი, როცა მხოლოდ 1 ბურთით ვიყავით წინ (17:16). და მაინც, ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ფინალური შეხვედრა რუმინელებთან. მატჩის დრო რომ ამოიწურა, ანგარიში საყაიმო იყო — 16:16. დამატებით 10 წუთში გავიტანეთ მხოლოდ 1 ბურთი, რომლის ავტორიც კლიმოკი იყო. ამ მატჩში კლიმოკს გარდა საუცხოოდ ითამაშა მეკარე ვილსონმა, რომელმაც ბევრჯერ იხსნა ჩვენი კარი ამკაია გოლისგან. რუმინეთის ნაკრები, ფაქტიურად, ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი იყო. თამაშობდნენ ცნობილი ხელბურთელები გრუია, პოპესკუ, ლიკუ... აკლდათ მხოლოდ სამი კაცი — ოცელია, ჰნატი და იაკობი.

● რომელ ქალაქებში გქონდათ მატჩები?

— ჩვენი გუნდის შტაბბინა თავდაპირველად ჰანოვერში იყო. აქედან მივემგზავრებოდით ახლომდებარე ქალაქებში. მაგალითად, პირველი მატჩი მაინბურგში გავმართეთ (ჰოლანდიასთან), მეორე — ოსნაბრიუკში (ფინეთთან), მესამე — ვოლფსბერგში (ჩეხოსლოვაკიასთან). დანიელებსაც ოსნაბრიუკში ვეთამაშეთ, შვედებს — ობერჰაუზენში, ხოლო რუმინელებს — ესენში. ყველა ამ ქალაქში შეხვედრა ითამაშეს ბუენოს-აირესის ნაკრებმა, ბურთი გავიტაცეს. მსაჯი ერთ ხანს ეძებდა ბურთს, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია და მოედნიდან გავიდა. თანაგუნდელებმა ავტოგრაფებით დამიმშვენეს ნადავლი, რომლითაც სხვადასხვა დროს ჩემს მიერ მოპოვებული სპორტული ალაფის პირადი მუზეუმი შეგავსე.

● ჩემპიონატის შემდეგ პირდაპირ საშობაოდ სადში გამოემგზავრეთ?

— მასპინძლების თხოვნით ერთ ხანს დავრჩით და გავმართეთ 2 ამხანაგური შეხვედრა. თავდაპირველად მეშახტეთა პატარა ქალაქ კამენს ვესტფალეთ და „კამენ-ბერნამენს“ ვეთამაშეთ. ეს მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 27:19. შემდეგ ვეწვიეთ ქალაქ მინდენს და შეხვედით თბილისელთა ნაცნობ „გრიუნ-ვაისს“. ამ გუნდში თამაშობდა გფრ-ის ეროვნული ნაკრების მთავარი ლიდერი ლუბკინგი (თბილისელები მასაც იცნობენ). შეხვედრა მოვიგეთ ანგარიშით 20:18. სხვათა შორის, „ლუბკინგმა ჩვენს კარში 11 გოლი გაიტანა.

● როგორია თქვენი სამერმისო გეგმები?

— როგორც იცით, მე სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების წევრი ვარ. უახლოეს ხანში ცერცვაძესთან ერთად გავემგზავრები მოსკოვს: იქ ერთ ხანს ვივარჯიშებთ. შემდეგ გუნდი საერთაშორისო მატჩების გასამართავად ეწვევა გდრ-ს, გფრ-ს და საფრანგეთს. მერე თბილისის „ბურევესტნიკს“ დავუბრუნდებით და სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატისთვის დავიწყებთ მზადებას.

* * *

სურათებზე: ი. ფხაკაძე მოტაცებული ბურთით; სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ჰაპოელი“ — მუქთა კუბოში ● ჰალერისა და შულცის მოწვევას აპირებენ ● ელენიო ერერას კონფლიქტი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გერმანული „რეალი“

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ლიდერის — „ფკ ნიურნბერგის“ ხელმძღვანელი, ცხობილი ავსტრიელი მწვრთნელი მ. მერკელი აცხადებს, რომ განზრახული აქვს შექმნას ექსტრა-კლასის გუნდი — „გერმანული რეალი“. მერკელი გფრ-ში მომუშავე მწვრთნელთაგან ყველაზე მეტ გასამრჯელოს იღებს და უნდა კიდეც გაამართლოს იგი. „მე არ მსურს უცხოელ ოსტატების გადაბირება, როგორც ამას ესპანელები აკეთებენ. ჩემი გუნდი დაკომპლექტებული იქნება მხოლოდ გერმანელი მოთამაშეებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, 1968-69 წლების სეზონში პრეტენზია ექნება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე“.

რა თქმა უნდა, „ნიურნბერგი“ ახლანდელი შემადგენლობით ასეთი ამოცანის გადაწყვეტაზე ვერც კი იოცნებებს, ამიტომ მერკელი აპირებს მიიწვიოს იტალიაში მოთამაშე ორი ცნობილი გერმანელი ოსტატი — ჰალერი („ბოლონია“) და შულცი („ბრემენი“).

თასის 21 პრეტენდენტი

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ჩემპიონთა თასის გათამაშების („კოპა ლიბერტადორეს“) დებულება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 10 ქვეყნის 21 გუნდი, ამასთან, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი „რესინგი“ (ბუენოს-აირესი) პირდაპირ ნახევარფინალშია დაშვებული.

აი, რომელი გუნდები ითამაშებენ თასზე: არგენტინიდან — ბუენოს-აირესის 3 გუნდი: „ინდეპენდიენტე“, „ესტუდიანტესი“ და „რესინგი“; ბრაზილიიდან — „პალმეირასი“ (სან-პაულუ) და „ნაუტიკი“ (რესიფე); ბოლივიიდან — „ბორგე ვილსტერმანი“ (კოჯაბამბა) და „ალვაის რედი“ (ლა-პასი); კოლუმბიიდან — „დეპორტივო“ (კალი) და „მილიონარიოსი“ (ბოგოტა); ჩილიდან — „უნივერსიდად დე ჩილე“ და „უნივერსიდად კათოლიკა“ (ორივე — სანტიაგო); ეკვადორიდან — „ნასიონალი“ (კიტო) და „უმალეკი“ (გუაიაკილი); პარაგვაიდან — „გუარანი“ და „ლიბერდადი“ (ორივე — ასუნსიონი); პერუდან — „უნივერსიტარიო“ და „სპორტინგ-კრისტალი“ (ორივე — ლიმა); ურუგვაიდან — „პენიაროლი“ და „ნასიონალი“ (ორივე — მონტევიდეო); ვენესუელიდან — „დეპორტივო პორტუგეზა“ და „დეპორტივო გალისია“ (ორივე — კარაკასი).

„ინტერი“ ეპატიქება პიცუტის

იტალიელ მომომხილველთა საერთო აზრით, „ინტერნაციონალეს“ ახლანდელ კრიზისში ბრალი მხოლოდ მწვრთნელ ე. ერერას მიუძღვის, მწვრთნელი კი აცხადებს, რომ იტალიაში აღარ დარჩება და ესპანეთის „ბარსელონას“ ჩაუდგება სათავეში.

ასეთ პირობებში „ინტერის“ დირექტორატმა ყურადღება მიაქცია საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელს — ბუენოს-აირესის „რესინგის“ მწვრთნელ ხ. პიცუტის, რომელიც წარმოშობით იტალიელია. პიცუტის პოპულარობა ფეხბურთის სამყაროში მკვეთრად გაიზარდა, მას ბევრი იტალიური და ესპანური კლუბი ეპატიჟება, მაგრამ პიცუტი ჯერჯერობით უარზეა.

ამ დღეებში „ინტერის“ ემისარი ბუენოს-აირესში ესტუმრა პიცუტის და იტალიაში გადასვლა შესთავაზა. თუ პიცუტი „ინტერის“ მთავარ მწვრთნელობას დათანხმდა, მას ყოველთვიურად 8 ათას დოლარს დაუნიშნავენ.

მოკლედ

● ბერნი. უეფა-მ გამოაცხადა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ნახევარფინალების კენჭისყრა მოხდება 21 მარტს პრაღაში.

● ბულგარეთი. როდეზიის ამ ქალაქში წლეულს მოეწყობა საერთაშორისო ტურნირი მადრიდის „რეალის“, ლისაბონის „ბენფიკას“, მილანის „ინტერნაციონალესა“ და „მილანის“, „გლაზგო რეინჯერსისა“ და ადგილობრივი გუნდის მონაწილეობით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

26 იანვარს

საქართველოს თამამსვლელთა ფედერაცია ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბში (ციროვის სახ. პარკი) აწყობს ფოტოკინოკონკურსს („უშბა“) წარმოდგენილ ნამუშევართა გამოფენას.

გამოფენა გაიხსნება 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-80, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მახობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11. გამომშვები — 8-93-81.

თასის გათამაშების ფარსი

აზიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით პირველად გაიმართა ამ კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება. სპორტულმა მიმომხილველებმა მას „თასის გათამაშების ფარსი“ უწოდეს, ვინაიდან მატჩების დიდი უმრავლესობა არ ჩატარებულა. თასის მეოთხედფინალში ისრაელის ჩემპიონი „ჰაპოელი“ (ტელ-ავივი) უნდა შეხვედროდა ირანის წარმომადგენელს, მაგრამ ირანელებმა პოლიტიკური მოტივებით არ მოისურვეს მასთან თამაში. ირანელებს წაგება ჩაეთვალათ და „ჰაპოელი“ ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე უნდა ყოფილიყო ინდოეთის ჩემპიონი. არც ინდოელებმა მოინდომეს „ჰაპოელთან“ თამაში და ისრაელის წარმომადგენელიც უბრძოლველად გავიდა ფინალში.

მეორე ფინალისტი გახდა მალაიზიის ჩემპიონი „სალენგორი“. დადგინდა 2 ფინალური მატჩის ვადები, მაგრამ „სალენგორის“ ხელმძღვანელობამ „ჰაპოელს“ აცნობა, რომ პოლიტიკური მოსაზრებით ამ გუნდს არ შეუძლია გამოსვლა ტელ-ავივში. დიდი ხნის დავის შემდეგ გადაწყდა ერთი გადამწყვეტი მატჩის მოწყობა ნეიტრალურ სტადიონზე, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში. ამ შეხვედრის თარიღი რამდენიმეჯერ იქნა გადატანილი. ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა „ჰაპოელი“ და „სალენგორი“ ჩავიდნენ ბანგკოკში. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ჰაპოელმა“, რომელსაც მიეკუთვნა აზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

ბელგია — საუკეთესო ფეხბურთელი

ბელგიის სპორტულმა ჟურნალისტებმა მოაწყვეს რეფერენდუმი — „ვინაა საუკეთესო ფეხბურთელი რესპუბლიკაში?“. მისი შედეგები ერთობ მოულოდნელი გამოდგა: ვან ჰიმსტს, რომელიც ბელგიის ნაკრების ბურჯად ითვლება, არც ერთი ხმა (!) არ მიუღია.

ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად სპორტულმა ჟურნალისტებმა სცნეს ფ. ბონე („ფკ ბრიუგე“) — 158 ხმა. II ადგილზეა რ. კლაასენსი (ლიეჟის „სტანდარდი“) — 116 ხმა.

ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

● **სტოკჰოლმი, 23 იანვარი.** დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია შვეციისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგურმა საერთაშორისო მატჩმა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 5:3

● **ბუქარესტი, 23 იანვარი.** ზაგრების „მლადოსტის“ წყალბურთელთა გუნდმა მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. აქ გამართული მეორე საფინალო მატჩი ადგილობრივ „დინამოსთან“ იუგოსლავიელებმა ფრედ (4:4) დაამთავრეს, მაგრამ ეს-ეც საკმარისი იყო თასის მოსაპოვებლად, ვინაიდან სტუმრებმა თავიანთ წყალში რუმინელები დაამარცხეს ანგარიშით 4:2.